

„დამტკიცებულია“

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“
2023 წლის ____ აგვისტოს № ____ ბრძანებით

დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის ფინანსური გარანტიის მიმართ მოთხოვნები



ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
FinanceBM@gse.com.ge

შინაარსი

1. შესავალი.....3

2. დეპოზიტი.....	3
3. საბანკო გარანტია.....	4
4. დოკუმენტური აკრედიტივი.....	4
5. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მონაცემები.....	5
6. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის წარდგენა.....	5
7. სსე-ს მიერ დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის წინაშე დამდგარი შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება.....	6

1. შესავალი

სემეკის 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებით“ (შემდგომ - ბაზრის წესები), განსაზღვრულია მოთხოვნები ფინანსური გარანტიის მიმართ, რომელიც წარმოადგენს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გამოწვეული დამამძიმებელი უბალანსობის

ღირებულების გადახდის უზრუნველყოფის საშუალებას. ბაზრის წესების თანახმად, დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირს, ფინანსური გარანტიის წარდგენა შეუძლია:

- დეპოზიტის ფორმით;
- საბანკო გარანტიის ფორმით.

ფინანსური გარანტიის მიმართ დამატებითი მოთხოვნები და ფინანსური გარანტიის სხვა ფორმით წარდგენის შესაძლებლობები განსაზღვრულია ამ დოკუმენტით.

დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, ზემოაღნიშნული და ამ დოკუმენტით განსაზღვრული ფინანსური გარანტიის სხვა ფორმებიდან შეარჩიოს ერთ-ერთი ან საკუთარი შეხედულებისამებრ, ფინანსური გარანტია წარადგინოს შერეული (ორი ან მეტი დაშვებული) ფორმით/ფორმებით.

დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ (შემდგომ - სსე), როგორც ელექტროენერჯის გადამცემი სისტემის ოპერატორს, მიმართოს ინიციატივით, დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების გადახდის ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბაზრის წესებითა და ამ დოკუმენტით განსაზღვრულისაგან განსხვავებული, სხვა ფორმით ფინანსური გარანტიის გამოყენებაზე. თუ ასეთი ფორმით ფინანსური გარანტია უზრუნველყოფს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების გადახდის ვალდებულების დროულ და სრულ შესრულებას, სსე ასახავს მას ამ დოკუმენტში და ნებისმიერ დაბალანსებაზე პასუხისმგებელ პირს შეეძლება მისი გამოყენება.

2. დეპოზიტი

დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენილი დეპოზიტი შესაძლოა გამოიხატოს მხოლოდ სსე-ს საბანკო ანგარიშზე განთავსებულ თანხაში, რომლის განკარგვა შესაძლებელია გადამცემი სისტემის ოპერატორის ინიციატივით, დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების გადახდის ვალდებულების ბაზრის წესებით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში.

დეპოზიტი შესაძლოა წარმოდგენილ იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ფინანსური გარანტიის შემთხვევაში.

დეპოზიტის განთავსება ხდება სსე-ს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ანგარიშის ნომერი: GE48TB7282634030100001

SWIFT: TBCBGE22

მომღები: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (ს/ნ 204995176)

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

დანიშნულება: დეპოზიტი *[ვადიანობის მითითებით: გრძელვადიანი; მოკლევადიანი]*

3. საბანკო გარანტია

დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს კომერციული ბანკის ან კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ და მისი მიმღები (ბენეფიციარი) უნდა იყოს სსე.

საბანკო გარანტიის საფუძველზე, გარანტმა (კომერციული ბანკი ან კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაცია) უნდა იკისროს ვალდებულება, გადაუხადოს ბენეფიციარს (სსე) პრინციპალის (დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი) მიერ გადასახდელი დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულება, საბანკო გარანტიის ოდენობის ფარგლებში, ბენეფიციარის (სსე) მიმართვიდან არაუგვიანეს 3 საბანკო დღის ვადაში.

საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუხმობი, რათა დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დამამძიმებელი უბალანსობის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობით საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხის გადახდა, სსე-ს მოთხოვნის საფუძველზე, ამ უკანასკნელის მიმართ ყოველგვარი დამატებითი მოთხოვნებისა და ვალდებულებების დაკისრების გარეშე.

უცხოური საფინანსო სექტორის წარმომადგენლის მიერ გაცემული საბანკო გარანტია მიიღება იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკი აიღებს საშუამავლო ვალდებულებას, ხსენებული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საბანკო გარანტია შესაძლოა წარმოდგენილ იყოს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი ფინანსური გარანტიის შემთხვევაში.

4. დოკუმენტური აკრედიტივი

დოკუმენტური აკრედიტივი გაცემული უნდა იყოს კომერციული ბანკის მიერ. დოკუმენტური აკრედიტივის საფუძველზე, გარანტმა (კომერციული ბანკი) უნდა იკისროს ვალდებულება, დოკუმენტური აკრედიტივით განსაზღვრული ოდენობის ფარგლებში, ბენეფიციარის (სსე) მიერ შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 საბანკო დღის ვადაში, გადაუხადოს ბენეფიციარს (სსე) პრინციპალის (დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი) მიერ გადასახდელი დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულება.

დოკუმენტური აკრედიტივის გამოყენების საფუძველი უნდა იყოს ბენეფიციარის (სსე) მიერ გარანტისათვის (კომერციული ბანკი) მხოლოდ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა.

დოკუმენტური აკრედიტივი შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ მოკლევადიანი ფინანსური გარანტიის შემთხვევაში.

5. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მონაცემები

თუკი ფინანსური გარანტიის წარდგენა ხდება საბანკო გარანტიის ან დოკუმენტური აკრედიტივის ფორმით, მასში მითითებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

- **გარანტიის სახელწოდება** - კომერციული ბანკის ან სადაზღვევო ორგანიზაციის (გარდა დოკუმენტური აკრედიტივისა) სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო კოდი;
- **პრინციპალის სახელწოდება** - დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა და საიდენტიფიკაციო კოდი;
- **ბენეფიციარის სახელწოდება** - სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (ს/ნ 204995176);
- **მოქმედების ვადა:** დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე მონაწილეობის მიღების დღიდან¹:
 - ა) მოკლევადიანი - შესაბამისი კალენდარული თვის ნარჩენი კალენდარული დღეებისა და დამატებით არანაკლებ 30 კალენდარული დღის ჯამი;
 - ბ) გრძელვადიანი: 150 კალენდარული დღე.*შენიშვნა: დოკუმენტური აკრედიტივი მიიღება მხოლოდ მოკლევადიანი გარანტიის შემთხვევაში.*
- **გამოყენების ვადა** - გამოყენების ვადა არ უნდა იყოს გარანტიის მიერ შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან საბანკო გარანტიის შემთხვევაში - 3 საბანკო დღეზე, ხოლო დოკუმენტური აკრედიტივის შემთხვევაში - 1 საბანკო დღეზე მეტი.

საბანკო გარანტიის ან დოკუმენტური აკრედიტივის გაცემისას დაბალანსებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს ამ დოკუმენტზე თანდართული საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის ფორმებით.

6. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის წარდგენა

საბანკო გარანტია და დოკუმენტური აკრედიტივი სსე-სთვის შესაძლოა წარდგენილ იქნეს გარანტიის ან პრინციპალის მიერ. საბანკო გარანტია და დოკუმენტური აკრედიტივი დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაძლოა წარდგენილ იქნეს ელექტრონულად ან მატერიალური სახით.

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის სსე-სთვის ელექტრონული სახით წარდგენა ხდება ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: FinanceBM@gse.com.ge. საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის ელექტრონული სახით წარდგენის შემთხვევაში, იგი წარდგენილი უნდა იქნეს უშუალოდ გარანტის მიერ.

საბანკო გარანტიისა და დოკუმენტური აკრედიტივის მატერიალური სახით წარდგენის შემთხვევაში, იგი წარდგენილი უნდა იქნეს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, სსე-ს სათაო ოფისში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0105, ბარათაშვილის ქუჩა N2.

¹ ელექტროენერჯის საბითუმო ბაზარზე მონაწილეობის მიღების დღეს განსაზღვრავს დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი და უთითებს დაბალანსებაზე პასუხისმგებლად რეგისტრაციის შესახებ სსე-სთვის წარდგენილ განცხადებაში.

7. სსე-ს მიერ დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირის წინაშე დამდგარი შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება

დაბალანსებაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია, მიმართოს სსე-ს და მოითხოვოს სსე-ს მიერ მის მიმართ შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების დამამძიმებელი უბალანსობის ღირებულების გადახდის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება.